საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030129034211119

№ 01-137/მ **02 / აპრილი / 2019 წ.**

დავით სერგეენკოსა და სოფიკო ბელქანიას მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების შესაბამისად, ავსტრიაში, ქალაქ ვენაში ღვიძლის დაავადებების შემსწავლელი ევროპის ასოციაციის (EASL) მიერ დაგეგმილ ღვიძლის საერთაშორისო კონგრესში (კონგრესის ფარგლებში, ღვიძლის დაავადებების შემსწავლელი ევროპის ასოციაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების ერთობლივი ორგანიზებით დაგეგმილია C ჰეპატიტის ელიმინაციის მიმართულებით, ქვეყნის მიერ მიღწეული შედეგების თაობაზე საქართველოსადმი მიძღვნილი სესია, ასევე, ვირუსული ჰეპატიტების ელიმინაციის მიმართულებით საქართველოსათვის „Centre of Excellence”-ის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული ღონისძიება. ორივე ღონისძიებაზე გათვალისწინებულია ჩემი სიტყვით გამოსვლა) მონაწილეობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2019 წლის 9 აპრილიდან და 2019 წლის 14 აპრილის ჩათვლით, ავსტრიაში, ქალაქ ვენაში, მივლინებულ იქნეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - **დავით სერგეენკო**.

2. 2019 წლის 9 აპრილიდან და 2019 წლის 15 აპრილის ჩათვლით, ავსტრიაში, ქალაქ ვენაში, მივლინებულ იქნეს ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **სოფიკო ბელქანია.**

3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ დავით სერგეენკოს მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის გაწეულ ხარჯებს და სოფიკო ბელქანიას მგზავრობისა და სადღეღამისო ხარჯების ნორმას აანაზღაურებს მიმწვევი მხარე.

4. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) აანაზღაუროს დავით სერგეენკოს სადღეღამისო და სადღეღამისო ნორმის დანამატი;

ბ) აანაზღაუროს სოფიკო ბელქანიას საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის (5 ღამე - ფაქტიური ხარჯის მიხედვით) გაწეული ხარჯები.

საფუძველი: საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2019 წლის 29 მარტის N12472 თანხმობა, ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას 2019 წლის 25 მარტის №01-2919 მოხსენებითი ბარათი და საერთაშორისო ურთიერთობებისა და აპარატის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მარიანა მკურნალის 2019 წლის 25 მარტის №01-2937 წერილი.

მინისტრი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო